საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2752
21/06/2022

2752-21-2-202206211009

შპს „ვინგსის“ დირექტორს
ბატონ ნიკა ურუშაძეს

ბატონო ნიკა,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1829 განცხადება, რომელიც ეხება თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაფარეულში არსებული წყალსაცავის ექსპლუატაციის საკითხს.

როგორც წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლით დგინდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ტბორი ფუნქციონირებს 2016 წლიდან და მისი მოცულობა შეადგენს 26 250 m^3-ს.

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 13 მაისს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, აღნიშნული კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები (**გარდა** ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული არსებული ნაგავსაყრელების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საქმიანობებისა და **ამ კოდექსის ამოქმედებამდე აშენებული** ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურებისა, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა, რკინიგზისა და მათზე განთავსებული ხიდებისა, გზაგამტარი გვირაბებისა და მათი საინჟინრო დაცვის ნაგებობებისა, მეტროპოლიტენისა, მაგისტრალური გაზსადენებისა, აგრეთვე **წყალსატევებისა, რომლებიც გამოიყენება სარეკრეაციო დანიშნულებით ან/და სამელიორაციო დანიშნულებით ან/და თევზსაშენი მეურნეობისთვის**), რომელთა განხორციელებაც 2018 წლის 1 იანვრამდე დაიწყო და რომლებსაც არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება, თუ აღნიშნული საქმიანობების განმახორციელებლებს არ მიუმართავთ გზშ-ის სფეროში შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების

მისაღებად, საჭიროებს სააგენტოს მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად მიღებას.

ზემოაღნიშნული ცვლილების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაფარეულში არსებული წყალსაცავის (26250 $მ^3$) ექსპლუატაცია არ საჭიროებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი პროცედურების გავლას.

პატივისცემით,

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო